ჭარბლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქ-ის და ცაკის ორგანო

№ 262 (5063) | ოთხშაბათი, 17 ნოემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

არჩევნების ირგვლივ საორგანიზაციო და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მაღალ დონეზე ჩატარება, საარჩევნო უბნის უზრუნველყოფა რაიონის საუკეთესო პარტიული და უპარტიო ბოლშევიკებით, უბნების გამაყრაგება ლიტერატურით, პლაკატებით, ლოზუნგებით—თვითეული რაიკომის საბრძოლო ამოცანაა.

„პრავდა“

ბოლშევიკური აგიტაცია კანდიდატის სასარგებლოდ

ჩვენი ქვეყანა შეიდგა საარჩევნო კამპანიის გადამწყვეტ ეტაპში. ქალაქად და სოფლად ჩაღდება ბოლშევიკური აგიტაცია მშრომელთა საერთო კრებების მიერ დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ, იმ კანდიდატების სასარგებლოდ, რომელებსაც შემდეგ მხარი დაუჭირეს სოლქში წინასაარჩევნო თათბირებმა და რომლებიც რეგისტრაციაში გაატარეს საოლქო საარჩევნო კომისიებმა.

არჩევნების ხაზით საორგანიზაციო და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა საარჩევნო უბნებში გადადის. აქ უნდა გაბრძოლოს თავისი გაქანებით დიდი და იდეური შინაარსობით ღრმა საagიტაციო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. აქ დიდი საქმიანობა უნდა გაშალონ ნდობით აღჭურვილმა პირებმა არჩეულმა საოლქო წინასაარჩევნო თათბიროების მიერ. ნდობით აღჭურვილ პირებს—პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს—დაკისრებული აქვთ საპატიო და პასუხსაგები ამოცანა—გასწიონ აგიტაცია დასახელებული კანდიდატის გაყვანისათვის დეპუტატად.

ნდობით აღჭურვილი პირი მრავალი ათასი მშრომელის რწმუნებულს წარმოადგენს. ამხანაგი სტალინი გვასწავლის დიდად ვაფასებდეთ ხალხის ნდობას. ამომრჩეველთა ნდობით აღჭურვილი ადამიანი უნდა მუშაობდეს ისე, რომ გაამართლოს ეს ნდობა.

პარტიული თუ არაპარტიული ბოლშევიკისათვის, რომელიც ნდობით აღჭურვილი პირის რწმუნებებით არის აღჭურვილი, ნათელი უნდა იყოს, რომ მისი ამოცანაა—უზრუნველჰყოს თავისი უბნის **უკლებლივ** ყველა ამომრჩეველის ხმა იმ კანდიდატის სასარგებლოდ, რომელიც რეგისტრირებულია მოცემულ საარჩევნო ოლქში. უნდა გვახსოვდეს ამ ხანაგი სტალინის გაფრთხილება **თვითდინების წინააღმდეგ საარჩევნო კამპანიაში**, იმაზე იმედის დამყარების წინააღმდეგ, რომ „ყველაფერი მოკეთილი იქნება მზამზარეულად ადმინისტრატიულ განკარგულებათა წესით“. საჭიროა აგიტაციის სერიოზულად ბაზეება ყოველი რეგისტრირებული კანდიდატის სასარგებლოდ. საჭიროა ყოველ ამომრჩეველ ეუმამბოთ კანდიდატის ცხოვრების შესახებ, მის დამსახურებათა შესახებ სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატის სასარგებლოდ უნდა დაუკავშირდეს იმ მიღწევათა ჩვენებას, რაც საბჭოთა ხელისუფლებას განვლილი ოცი წლის მანძილზე აქვს. სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში საბჭოთა ხალხს მიერ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიღწეული უდიდესი გამარჯვებანი, ამ გამარჯვებათა შესახებ დამაფერებელი ციფრები და ნათელი ფაქტები დაიმტკიცებენ თვითეულ ამომრჩეველს, რომ მან ხელისუფლების უზენაეს **ორგანოში** უნდა აირჩიოს მხოლოდ ის კაცი, რომელიც პატიოსნად, თავდადებულად ბოლომდე ერთგულია ლენინ-სტალინის პარტიის საქმისა. საარჩევნო უბანში აგიტატორი უნდა იყოს პოლიტიკურად მიზანმიმღწევად, ნათელი, მარტივი და **მასიურ**ად. ბჭედან—ნდობით აღჭურვილი პირის ამოცანა: შეამოწმოს აგიტაციის **ხარისხი,** თვალყური ადევნოს მის ბოლშევიკურ მიმართულებას, აღმკვეთოს მტრული ელემენტების ყოველი მცირეოდენი ფაქტი.

ნდობით აღჭურვილი პირის ამოცანაა—ისე დააყენოს მთელი საagიტაციო მუშაობა, **რომ ყველა ამომრჩეველმა** კარგად იცოდეს ხმის მიცემის წესი, ის უფლებანი, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებით“.

ნდობით აღჭურვილ პირთა მუშაობისათვის, ისევე, როგორც მთელი საორგანიზაციო და საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობისათვის თავის ტერიტორიაზე, პასუხისმგებლობა აკისრია პარტიის საოლქო კომიტეტს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველა რაიკომს ეს შეუგნია ეს პასუხისმგებლობა, ვერ შეუგნია თავისი ამოცანები საარჩევნო კამპანიაში. ქალაქ ივანოვოს სტალინის რაიონში ნდობით აღჭურვილ პირებად მოხვდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ამ სერიოზული პოლიტიკური მუშაობისათვის საკმაოდ გამოსადეგი არ არიან. ცოტა როდია ისეთი რაიკომი, რომელსაც დღემდე ერთხელაც არ მოუწვევია ნდობით აღჭურვილი პირები, არ განუმარტავს მათთვის თავიანთი ამოცანები. ჯერ კიდევ არის ისეთი საარჩევნო უბნები, სადაც ნდობით აღჭურვილი პირები საერთოდ არ არიან. ქალაქ კუიბიშევის მოლოტოვის რაიონში უკანასკნელ დღეებამდე საარჩევნო უბნებში არ ყოფილან ნდობით აღჭურვილი პირები. ამ შეხედულებით საოლქო უდარღლოდას ჩიენს რაიკომი! ტულაში ნდობით აღჭურვილი პირები დღემდის არ შესდგომიან მუშაობას. დიდი სახიფათოებრივი ნდობით აღჭურვილი ადამიანებისადმი უმსგავსო დამოკიდებულება გამოიჩინეს პარტიულმა ორგანიზაციებმა ჭალაქ ალექსინში, ალექსინის რაიონში, ბელევში, ბოგოროდიცკში, ვოლოკოლამსკში, ვოსკრესენსკში, ვოსკრესენსკის რაიონში, ვოსკრესენსკის რაიონში, ვოსკრესენსკის რაიონ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

I. უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისათვის

საშტატო თანამდებობათა და თანამდებობრივი განაკვეთების შემოღების შესახებ

უმაღლესი სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორთა, დოცენტთა, სხვა მასწავლებლებთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის მატერიალური უზრუნველყოფილობის ამაღლების მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. გაუქმდეს უმაღლესი სკოლის პროფესორთა, დოცენტთა და სხვა მასწავლებელთა შრომის საათობრივი ანაზღაურების ამჟამად მოქმედი წესი, როგორც მოძველებული, რომელიც აღარ შეეფერება უმაღლეს სკოლაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ამოცანებს.

შემოღებულ იქნას 1937-38 სასწავლო წლის საშტატო თანამდებობათა და ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთების სისტემა პროფესორების, დოცენტებისა, ხმა მასწავლებლებისა და სასწავლო-დამხმარე პერსონალისათვის სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში.

2. დაწესდეს, რომ უმაღლესი სასწავლებლის თვითეული პროფესორი, დოცენტი და სხვა მასწავლებელი უნდა იმყოფებოდეს მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებლის შტატში, რომელიც წარმოადგენს მისი მუშაობის ძირითად ადგილს და რომელშიაც იგი უნდა ეწეოდეს ყველა სახის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას, რაც გამომდინარეობს დაკვეთილი თანამდებობიდან და სასწავლო გეგმიდან, და იმ მუშაობას უმაღლეს სასწავლებლებში ანდომებეს საშუალოდ ხუთ საათს დღეში.

ზემოთ აღნიშნული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მოიცავს მის შემდეგს ძირითად სახეებს: ლექციების კითხვას, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობის წარმოებას, გამოცდებისა და ჩათვლების ჩატარებას, პროექტირებისა და საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობას, საკონსულტაციო მუშაობას სტუდენტებთან და ასპირანტებთან, პროფესორების საკონტროლო დასწრებას ლექციებსა და სხვა მეცადინეობებზე, რომლებსაც ატარებენ დოცენტები და სხვა მასწავლებლები, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დამუშავებას, სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას.

3. დაწესდეს, უმაღლეს სასწავლებელში პროფესორის, დოცენტის ან სხვა მასწავლებლის ხუთი საათის შეუთავსების ფარგლებში, სასწავლო გეგმის შესრულებისათვის სტუდენტებთან და ასპირანტებთან მისი სასწავლო მეცადინეობის შემდეგი მოცულობა: პროფესორ—კათედრის გამგის საათის—2-დან 2,5 საათამდე, კათედრის პროფესორისათვის—2,25-დან 2,75 საათამდე, კათედრის დოცენტისა, უფროსი მასწავლებლისა, კათედრის ასისტენტისა და მასწავლებლისათვის—2,5-დან 3 საათამდე.

4. დაწესდეს სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის შემდეგი საშტატო თანამდებობანი:

ა) პროფესორი—კათედრის გამგე, კათედრის პროფესორი, კათედრის დოცენტი, კათედრის ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი და მასწავლებელი—სწავლების იმ სავნებში, რომლებიც მოცემულ უმაღლეს სასწავლებელში ძირითადი არ არის;

ბ) უფროსი ლაბორანტი, ლაბორანტი.

დაწესდეს, რომ უმაღლესი სასწავლებლის შტატებს შეუძლია ეძლიოს იქ მხოლოდ ერთი საშტატო თანამდებობა.

5. დაწესდეს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის ხელფასის შემდეგი თანამდებობრივი განაკვეთები:

საშტატო თანამდებობანი

სამეცნიერო ხარისხი ან განაკვეთები	ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთები: დაკავებულ თანამდებობის სტაჟით: 5 წელზე ნაკლები	5-დან 10 წლამდე	10 წელზე მეტი
	(თანხა თვეში)		
ა.			
1. პროფესორი — კათედრის გამგე, მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე	1.100	1.300	1.500
მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის არმქონე	900	1.000	1.200
2. კათედრის პროფესორი — მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე	1.000	1.150	1.300
მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის არმქონე	800	900	1.000
3. კათედრის დოცენტი და უფროსი მასწავლებელი—მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე	700	800	900
მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის არმქონე	600	700	700
4 კათედრის ასისტენტი და მასწავლებელი — მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე	600	700	800
მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის არმქონე	500	600	600
ბ.			
5. უფროსი ლაბორანტი	450	500	550
6. ლაბორანტი — საშუალო სპეციალური განათლების მქონე	350	400	450
საშუალო საერთო განათლების მქონე	225	275	325

თანამდებობის სტაჟი გამოიანგარიშება ამ თანამდებობაში მოყვანილობის ფიქსირებად შესრულების დროის მიხედვით, პროფესორის—კათედრის გამგის თანამდებობის სტაჟში ჩაითვლება ის პერიოდიც, როდესაც იგი მუშაობდა პროფესორად, ხოლო არ განაგებდა კათედრას.

6. დაწესდეს უმაღლესი სასწავლებლების უმჯობესი სასწავლო-დამხმარო პერსონალის ხელფასის შემდეგი განაკვეთები:

ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთები:

საშტატო თანამდებობანი	დაკავებულ თანამდებობის სტაჟით: 5 წელზე ნაკლები	5 წელზე ან წლამდე	10 წელზე მეტი
	(თანხა თვეში)		
1. უფროსი პრეპარატორი	225	275	325
2. პრეპარატორი	150	175	200

7. დაწესდეს უმაღლეს სასწავლებლთა დირექტორებისა და სამეცნიერო-სასწავლო შუმობის დარგში მათი მოადგილეების ხელფასის შემდეგი თანამდებობრივი განაკვეთები სასწავლო-სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობისა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის ზედამხედველობისათვის:

ა) ინსტიტუტის დირექტორი	1.500
ბ) ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე	1.200
გ) ფაკულტეტის დეკანი	1.200
დ) ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	1.000
ე) უნივერსიტეტის, ინსტიტუტის, ფაკულტეტის სამეცნიერო ნაწილის გამგე	1.000
ვ) ინსტიტუტის, ფაკულტეტის სამეცნიერო ნაწილის გამგის მოადგილე	800
ზ) ინსტიტუტის, ფაკულტეტის სამეცნიერო ნაწილის გამგის მოადგილე	700

8. დაწესდეს, რომ უმაღლესი სასწავლებლის შტატში მყოფ პროფესორებს, დოცენტებს და სხვა მასწავლებლებს შეიძლებათ დამატებით ეწეოდნენ სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ან სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში, ამ უკანასკნელებში საშტატო თანამდებობის დაუკავებლად.

დაწესდეს, რომ პროფესორი—კათედრის გამგე, კათედრის პროფესორი და კათედრის დოცენტი, დაშვებული უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიადსაკავშირო კომიტეტის მიერ კათედრის გამგის მოვალეობის შესასრულებლად სხვა უმაღლეს სასწავლებლში შეთავსებით, ასეთი მუშაობისათვის დამატებით დებულობენ მათი ძირითადი თანამდებობისათვის დაწესებული თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტის, ხოლო პროფესორის, დოცენტის ან სხვა მასწავლებლის მოვალეობის შესასრულებლად დაშვებული სასწავლებლის ძირითადი თანამდებობისათვის დაწესებული თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტის.

9. დაწესდეს, რომ პროფესორების, დოცენტების ან ასისტენტების მუშაობა სამედიცინო ინსტიტუტებში არსებულ ან მათთან მიმაგრებულ სამკურნალო დაწესებულებებში არ ითვლება შეთავსებად და ანაზღაურდება ხელფასის ძირითადი განაკვეთის დამატებით—შესაბამისი კატეგორიისა და სტაჟის ექიმისათვის დაწესებული განაკვეთის ოდენობით.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების მასწავლებელთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წლის 21 სექტემბრის დადგენილების 1 და 2 მუხლები.

10. დაუწესდეს შრომის დამატებითი, ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთის ზევით, ანაზღაურება იმ სამუშაოსათვის, რომელიც სრულდება საშტატო თანამდებობის ზევით იმავე უმაღლეს სასწავლებელში:

ა) უმაღლესი სასწავლებლის დირექტორს და მის მოადგილეს სამეცნიერო-სასწავლო მუშაობის დარგში კათედრის პროფესორის, დოცენტის ან მასწავლებლის სამუშაოს იმავე დროულად შესრულებისათვის—საათობრივად, შესრულებულ სამუშაოს შესაბამისად;

ბ) პროფესორ—კათედრის გამგეს ან კათედრის პროფესორს იმავე დროულად ფაკულტეტის დეკანის მოვალეობათა შესრულებისათვის—საათობრივად, შესრულებულ სამუშაოს შესაბამისად;

გ) იმ სამეცნიერო-კვლევითი ამუშაობის გეგმას, რაც სამეურნეო ორგანოების დაკვეთებით ტარდება, ცალკე ამტკიცებს ის სახალხო კომისარი, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი ექვემდებარება;

ბ) სამეურნეო ორგანოების დაკვეთებით სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოს სრულებენ საშტატო მუშაები უმაღლესი სასწავლებლის დირექტორთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე. ამასთან ეს სამუშაო არავითარ შემთხვევაში არ უნდა სრულდებოდეს იმ დროის ხარჯზე, რომელიც გათვალისწინებულია მუშაობისათვის საშტატო თანამდებობით.

13. იმ პირთათვის, რომელთაც განმანაკლისის სახით ეწვევინ საათობით სამუშაოზე უმაღლეს სასწავლებელში, დაწესდეს შემდეგი ხელფასი:

მეცადინეობის სახეები	მაქსიმუმ საათი	დოცენტს	ასისტენტს, ლაბორანტს, ინჟინერ-ტექნიკოსს	მაქსიმუმ საათი
1. ლექციები სპეციალურ დისციპლინებში, კონსულტაციები საკანდიდატო პროექტირების დარგში, ასპირანტების კონსულტაციები დისერტაციების შესახებ.	30	25	20	30
2. ლექციები სხვა დისციპლინებში	25	20	15	25

დაწესდეს, რომ საათობისათვის გასაცემი ხელფასის წლიური ფონდი სახალხო კომისარიატების წარდგინით განსაზღვრავს უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტი მოცემული უმაღლესი სასწავლებლის საშტატო პერსონალის ხელფასის წლიური ფონდის 10—20 პროცენტის ოდენობით.

14. დაწესდეს, რომ ზემოაღნიშნული ახალი თანამდებობრივი განაკვეთები უმაღლეს სასწავლებლებში შემოიღება მხოლოდ მას შემდეგ, რაც უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად - საკავშირო კომიტეტი დაამტკიცებს სათანადო საშტატო განრიგებს.

15. დაეკალოთ სახალხო კომისარიატებს ორი თვის ვადაში წარუდგინონ უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტს დასამტკიცებლად მათ მიერ განსაზღვრული შტატები პროფესორ-მასწავლებლებისა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის თვითეული უმაღლესი სასწავლებლისათვის ცალკე.

უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა უმაღლესი სასწავლებლების შტატების დამტკიცების დარგში მუშაობა ჩაატაროს იმ ანგარიშით, რათა ყველა უმაღლეს სასწავლებელში საშტატო-სავანაკვეთო სისტემის გატარება დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს 1938 წლის 1 აპრილისა.

II. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის სტიპენდიების გადიდების შესახებ

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მატერიალური უზრუნველყოფილობის გადიდებისა და სტიპენდიების გაცემის მოწესრიგების მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო დგინავს:

I კურსი.	II კურსი	III და IV კურსი.	V კურსი
130 მან.	150 მან.	175 მან.	200 მან.

იძ უმაღლეს სასწავლებლებისათვის, სადაც სწავლების ვადა ოთხწლიანია, სტიპენდია IV კურსზე წყდება იმ ოდენობით, რომელიც მიღებულია იმ უმაღლესი სასწავლებლების V კურსისათვის, სადაც სწავლების ვადა ხუთწლიანია.

2. ქ. მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიების ოდენობა გადიდებულ იქნას 10 მანეთით სტიპენდიების საერთო ოდენობასთან შედარებით.

3. 1937 წლის 1 ნოემბრიდან სამასწავლებლო ინსტიტუტების სტუდენტთათვის დაწესდეს ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიების შემდეგი ოდენობა:

I კურსზე...	130 მანეთი
II კურსზე...	150 მანეთი.

4. დაწესდეს, რომ სტიპენდიის უნიშნავს უმაღლესი სასწავლებლის დირექტორი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სტუდენტის წარსული წლის წარმატების მონაცემების მიხედვით.

პირველ კურსზე სტიპენდიის დანიშვნისას უპირატესობა ეძლევათ იმ სტუდენტებს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ორიან საშუალო სკოლის ფრიადოსანის უფლებით, აგრეთვე იმათ, რომლებმაც ყველაზე წარმატებით ჩააბარეს შესასვლელი გამოცდები.

5. უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებს მიეცეთ უფლება 50 პროცენტით შეუმცირონ სტიპენდიის ოდენობა იმ სტუდენტებს, რომლებმაც გააუარესეს თავიანთი მუშობა, და სავსებით მოუსპონ სტიპენდია იმ სტუდენტებს, რომლებიც არადამაკმაყოფილებლად მუშობენ.

6. დაწესდეს, რომ სახალხო კომისარიატები თავიანთი საერთო სტიპენდიო ფონდების ფარგლებში განსაზღვრავენ სტიპენდიო ფონდის ოდენობას თვითეული უმაღლესი სასწავლებლისათვის ცალკე.

უმაღლესი სასწავლებლების სტიპენდიების გადიდების ფონდი სსრ კავშირის სახალხო კომისარიატებს შორის განაწილდეს ამ დადგენილების 1 პუნქტის მიხედვით.

7. ჩაითვალოს ძალადაკარგულად: სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 10 თებერვლის დადგენილება „უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიების შესახებ“ (იმ ნაწილში, რომელიც ეხება უმაღლეს სასწავლებლებს); სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 2 სექტემბრის დადგენილება „უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში 1933-34 სასწავლო წლის მიღების კონტინგენტთა უზრუნველყოფის შესახებ“ (იმ ნაწილში, რომელიც ეხება უმაღლეს სასწავლებლებს); სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წ. 23 იანვრის დადგენილება „მოსკოვისა და ლენინგრადის სტუდენტთათვის სტიპენდიების გადიდების შესახებ სასტუდენტო სადილების შეღავათით ფასებში გაკეთების გაუქმებასთან დაკავშირებით“ (იმ ნაწილში, რომელიც ეხება უმაღლეს სასწავლებლებს).

გარდა ამისა, სსრ კავშირის სახალხო კომისარიატთა სამუშაო დაადგინა 1937 წლის 1 ნოემბრიდან გაუდიდეთ სტიპენდიები ასპირანტებს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში 400 მანეთამდე თვეში.

ხალხის ნდობას სასახელოდ გავამართლებ

ნახევრად დანგრეული ფიცრული სახლი, გატეხილი ეზო, ჯაფით წელში გაუსუტებელი დედა, მუდამ დაღონებილი მამა, შემშილით ფერმკრთალი და გამხდარი და-ძმანი... ასეთია ღარიბი ებრაელი ქალის წარმოდგენა ვიყავი. გავდიოდი თუ არა 14 წლისა, გამათხოვეს. უსაქმოთო და ლოთი ქმარი შემხვდა. მტანჯველად. მცემდა, სიცოცხლეს მამწარებდა. ისევ დედას შეეებარალე და სახლში წავაბარე.

ნამდვილი ადამიანური ცხოვრება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა მშრომელებს. ღარიბ ებრაელთა საზოგადოების დახმარებით დავწყე მუშობა სატრიკოტაჟო ფაბრიკაში. რადგან მუშობის კარგი უნარი გამოვიჩინე, დამაწინაურეს,— დამნიშნეს ღარებკომის სამეურვეო არტელის თავმჯდომარედ. აქვე მიმიღეს ბოლშევიკური პარტიის წევრობის კანდიდატადაც.

პარტია ახალ-ახალი პოსტებზე მაწინაურებდა, უკანასკნელად აბორშუმის ფაბრიკა-კომბინატის ფაბკომის თავმჯდომარედ ამირჩიეს. აქ ფაბრიკის კოლექტივთან ერთად ღარიბთა გვერდიც ფაბრიკაში მოკალათებულ კონტრრევოლუციონერთა, დივერსანტთა და მავნებელთა წინააღმდეგ.

მეტად ღარიბნი ვიყავით. ოჯახი ორ ოთახში ვცხოვრობდით. ერთ ოთახში

ბოლშევიკურად მოვაწყოთ წინასაარჩევნო აგიტაცია, ყველა ამომრჩეველს გავაცნოთ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

დავით ამბაკოს-ძე კაკაბაძე

— ხომ ხედავ, შვილო, წელებზე ფეხს ვიდგამთ, დღედაღამეს ვასწორებთ შრომით, მაგრამ თავის რჩენა მაინც გვიჭირს, განა არ ვიცით, რომ სწავლა კარგია, მაგრამ შეძლება სად გაქვს! ცოტა ხანს მოითმინე, და თუ შვილობა გვეწევა და დროება გაუმჯობესდა, ისევ შეგიყვანთ სკოლაში.

ასე ანუგეშებდნენ მშობლები პატარა თვალცრემლიან ბიჭუნას, რომელიც ტირილად იმის გამო, რომ სკოლიდან გამოიყვანეს, ტოლ-ამხანაგებს მოაშორეს.

ეს იყო 1919 წელს, საქართველოში, მენშევიკების ბატონობის შავბნელ ხანაში. მართლაც, სად შეძლო ამ დროს სვირელ ლატაკ გლეხს, ამბაკო კაკაბაძეს, შვილისთვის ესწავლებინა?

მაგრამ საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. პირველად კაცობრიობის ისტორიაში საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო კოლტურისა და მეცნიერების უმაგალითო აყვავება. დადგა დაბადგული მშრომელი ხალხის დრო. მილიონობით მათი შვილები დაეწაფნენ სწავლას საბჭოთა სკოლებში.

და ია პატარა დავითმაც მიაშურა სკოლას, მისთვის ჩვეული ენერგიით ამხედრდა და 1928 წელს დაამთავრა ათწლედი.

1928 წლიდან დავით კაკაბაძის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. იგი დროებით მოშორდა სკოლას და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებს მიაშურა.

მოწინავე მუშა, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, კარგი მეგობარი და ამხანაგი—ია როგორც დღემაინის სახელი დაიმახსოვრა მან ტყიბულის მაღაროელთა შორის.

1930 წლიდან ამხანაგი დავით კაკაბაძე ჭიათურის მაღაროელთა შორისაა. მან აქაც სიყვარული და თავდადება გამოიჩინა დაკისრებული მოვალეობისადმი. საქმით დამტკიცა ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.

ლენინური კომკავშირის აქტიური წევრი 1925 წლიდან, ამხანაგი დავით კაკაბაძე 1931 წელს მიიღეს ს.კ. კ. (ბ) რიგებში. იმავე წელს პარტიამ იგი გაუზავნა სასწავლებლად თბილისის სამთო სანადნურო ინსტიტუტში, რომელიც მან წარმატებით დაამთავრა.

ამჟამად ამხანაგი დავითი მუშაობს თავის საყვარელ მაღაროებში, ძველ ნაცნობთა და ამხანაგთა შორის, მაგრამ ახლა იგი უკვე ინჟინერია.

ჭიათურაში ყველა იცნობს სტახანოვის სახელობის მაღაროს მე-4 უბნის გამგეს, ინჟინერ დავით ამბაკოს-ძე კაკაბაძეს, იმ საყვარელის, პასუხისმგებლობისა და თავდადების გამო, რომლითაც იგი თავის მოვალეობას ასრულებს.

ჭიათურის მაღაროელებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სს რესპუბლიკიდან წამოაყენეს ამხანაგი დავით ამბაკოს-ძე კაკაბაძე.

2 ნოემბერს ჭიათურის ღონინის სახელობის მაღაროს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრების დადგენილებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურენ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჭიათურის საარჩევნო ოლქის მთელ რიგ საწარმოთა და კოლმეურნეობათა მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები, კოლმეურნეები.

მშრომელთა მრავალრიცხოვანი კრებები ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებებში სთხოვდნენ ამხანაგ დავით კაკაბაძეს კენჭი ეყარა მათს საარჩევნო ოლქში.

მათი მოთხოვნა შესრულდა. ამხანაგი დავით ამბაკოს-ძე კაკაბაძე ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სს რესპუბლიკიდან რეგისტრირებულია ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჭიათურის საარჩევნო ოლქის № 112-ის მიერ.

ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი

საქართველოს მეცნიერ მუშაკთა შორის პროფესორ ნიკო მუსხელიშვილს განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი ჯერ შედარებით ახალგაზრდაა, 46 წლისა, მაგრამ უკვე მოიპოვა გამოჩენილი მოაზროვნისა და დიდი მეცნიერის სახელი. მას, როგორც გამოყენებითი მათემატიკის დარგში მომუშავე მეცნიერს, იცნობენ საბჭოთა კავშირის ყველა უნივერსიტეტში, პედაგოგიურ ინსტიტუტებში, გამოყენებითი მათემატიკის საგამოკვლევო დაწესებულებებში.

პროფ. ნიკო მუსხელიშვილმა სახელი გაითქვა თავისი ახალი ნაშრომით—„დრეკადობის თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“. ეს ნაშრომი ყველა ქვეყნის გამოჩენილი მათემატიკოსის მიერ აღიარებულია კლასიკურ ნაწარმოებად და მუსხელიშვილის მიერ ამ წიგნში განხორციელებულ მეთოდებზე დაიწერა მრავალი ახალი სადისერტაციო შრომა. ეს ნაშრომი გადათარგმნილია სხვადასხვა ენებზე და მითი ხელმძღვანელობენ საომრშენებლო მექანიკის პრობლემების შესწავლისას.

პროფ. ნიკო მუსხელიშვილს დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს 40-მდე მეცნიერული ნაშრომი. მას ეკუთვნის ორეული ორი სახელმძღვანელო—„თეორიული მექანიკის კურსი“ და „ანალიზური გეომეტრიის კურსი“, რომლებსაც იყენებენ, როგორც ძირითად სახელმძღვანელოებს, საბჭოთა კავშირის ყველა უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტში.

მუსხელიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის მეცნიერ მუშაკთა ახალი კადრების აღზრდაშიც. მისი მოწაფეები გამოჩენილი მეცნიერ-მუშაკები: პროფ. ვ. კუპრაძე, პროფ. შ. მიქელაძე და პროფ. ლევ. გოკიელი. 1920 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირში არ ყოფილა მათემატიკოსთა არცერთი ყრილობა, რომელსაც არ დასწრებოდეს და სამეცნიერო მოხსენებით არ გამოსულიყოს ნიკო მუსხელიშვილი.

ნიკო მუსხელიშვილი ნამდვილ საბჭოთა მეცნიერია, გაზრდილი და დაჯილდოებული საბჭოთა ხელისუფლების დროს. 1915 წელს მან დაამთავრა პეტროგრადის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტი. სამაგისტრო გამოცდები ჩააბარა 1918 წელს. იმავე წელს იგი აირჩიეს ლენინგრადის უნივერსიტეტის ასისტენტად მექანიკის კათედრაზე. 1920 წელს ნიკო მუსხელიშვილი ჩამოვიდა თბილისში და მუშაობდა დოცენტად თბილისის უნივერსიტეტში. 1922 წელს მან მიიღო პროფესორობა.

1933 წლიდან პროფ. ნიკო მუსხელიშვილი მუშაობს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში. ამჟამად იგი ფილიალის თავმჯდომარის მოადგილეა და ამავე დროს განაგებს თეორიული მექანიკის კათედრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში.

1933 წელს იგი არჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1934 წელს მან მიიღო მათემატიკის დოქტორის ხარისხი.

პროფ. ნიკო მუსხელიშვილი, გარდა ამისა, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიცაა. იგი არჩეული იყო ა.კ.კ.ა.კ.ის (მე-7 მოწვევის) წევრად, გაგზავნილი იყო საქართველოს მწერმელთა დელეგატად საბჭოების საგანგებო მე-8 საკავშირო ყრილობაზე, სადაც გამოჰყვეს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის სარედაქციო კომისიაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ინდუსტრიულ ინსტიტუტში, აგრეთვე იმ მეცნიერულ დაწესებულებებში, სადაც ნიკო მუსხელიშვილი მუშაობდა ან მუშაობს, არ გაკეთებულა არცერთი საზოგადოებრივი საქმე, რომ ნიკოს მასში აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს.

პროფ. ნიკო მუსხელიშვილის ინიციატივით მეცნიერებათა აკადემიის ფილიალთან ჩამოყალიბდა მათემატიკური ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ფიზიკური ინსტიტუტი. მუსხელიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის დამუშავებაში. მისი ინიციატივითა და ენერგიით ახლა შექმნილია ყველა სასტამბო ნიშნების მთლიანი განაკეთური და ჩვენს პოლიგრაფიულ მრეწველობას ახლა საშუალება აქვს გამოსცეს ურთულეს მათემატიკურ ფორმულებიანი წიგნები.

ათასობით მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მშენებლები, მხარს უჭერენ და ესალმებიან მისი კანდიდატურის დასახელებას. ნიკო მუსხელიშვილი ნამდვილი საბჭოთა მეცნიერი და ბედნიერი საბჭოთა ხალხის ღირსეული შვილია.

დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძე

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის—სტალინის საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სს რესპუბლიკიდან რეგისტრირებულია ამხანაგი დავით ალექსის-ძე ჭიჭინაძე.

იგი არის სტახანოვური მოძრაობის ერთერთი პირველი მედროშე საქართველოს მრეწველობაში, მას მთელი ჩვენი რესპუბლიკა იცნობს.

როდესაც ალექსი სტახანოვმა დონბასში შრომის ნაყოფიერების უმაგალითო რეკორდი დაამყარა, დონბასის ორთქლმავალ-ვაგონების სარემონტო ქარხნის მჭედლები, ექიმები, აგრონომები, თეატრალური ხელოვნების მუშაკები და სხვა, რომელთა საშუალებით სისტემატურად უნდა ეფრთხობოდნენ ანტირელიგიური ხასიათის საუბრები, ლექციები, მოხსენებები, უნდა ეუწყებინთ ანტირელიგიური კინოსურათები და სხვა.

ამისთანავე აუცილებელია მოვაწყოთ და ფართოდ გავშალოთ ანტირელიგიური ანტირეზიგიური აგიტაცია საერთო საცხოვრებლებსა და სადგურებში, მუშათა და კოლმეურნეთა ოჯახებში.

ერთი წუთითაც არ უნდა დავიწყოთ, რომ ჩვენი საბედნიეროდ მუშათა ანტირელიგიური პროპაგანდის ხაზით არ უნდა ატარებდეს ადმინისტრატიული ხასიათის, საარჩევნო უბნებში ამომრჩევლებთან საუბრებისა, მოხსენებებისა და ლექციების დროს ჩვენ ფართოდ და პოპულარულად უნდა გავხსნათ მათ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა მოჭალარჭიფთა სინდისის თავისუფლების შესახებ.

ჩვენმა ანტირელიგიურმა აგიტატორებმა უეჭველად უნდა იცოდნენ ის გარემოება, რომ რელიგიური ორგანიზაციები და რელიგიური კულტის მსახურნი, ერთის მხრივ, და მშრომელი მორწმუნეები, მეორე მხრივ, ერთი და იგივე როდია. მშრომელი მორწმუნეები, ეს ის ადამიანებია, რომლებიც თავიანთი ჩამორჩენილობით ჯერ კიდევ სავლდებულოს ცრურწმუნეობაზე გავლენის ქვეშ იმყოფებიან და დღეს თუ ხვალ უნდა განთავისუფლდნენ რელიგიის ტყვეობისაგან. დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ყველა მორწმუნე მტრულად განწყობილ ელემენტებად ჩაგეთვალა.

მთელი ჩვენი პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და პროფკავშირული აქტივის ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ საარჩევნო უბნები გადავაქციოთ ანტირელიგიური პროპაგანდის მთავარ (ცენტრად, ხან ბოლოთ და ბოლოთ ეს რელიგიური კულტის მსახურთა მტრული აგიტაცია.

➔

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების კომისიების დაკვენილებანი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ

ბათუმი

რეგისტრაციაში გატარებულია ამხ. ი. დ. კოკლამაზაშვილის კანდიდატურა.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის — შუთმანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. **იოსებ დმიტრის-ძე კოკლამაზაშვილი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი, ქალ. ბათუმში მცხოვრები.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **აბლაძე.**

რეგისტრაციაში გატარებულია ამხ. ვ. ნ. მერკულოვის კანდიდატურა.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის—ბერიას საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. **ვსევოლოდ ნიკოლოზის-ძე მერკულოვი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) ც კომის სარეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგე, ქალ. თბილისში მცხოვრები.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ნებიერიძე.**

რეგისტრაციაში გატარებულია ამხ. ვ. გ. გრიგოლიანის კანდიდატურა.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის—ფოთზეზეს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. **ვანან გრიგოლის-ძე გრიგოლიანი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, „ზარია ვოსტოკას“ პასუხისმგებელი რედაქტორი, ქალ. თბილისში მცხოვრები.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **სალაძე.**

რეგისტრაციაში გატარებულია ამხ. ნ. მ. რუხაძის კანდიდატურა.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის — ზღვისპირის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. **ნიკოლოზ მაქსიმის-ძე რუხაძე**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კომის პარტიულ-საბჭოთა კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელი, ქალ. თბილისში მცხოვრები.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **სოკოლოვი.**

რეგისტრაციაში გატარებულია ამხ. თ. მ. ბიჩკაძის კანდიდატურა.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების კაპანდის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. **თამარ მინას-ასული ბირკაძე.** საქართველოს ალკ (ბ) კ-ის მესამე მდივანი, ქალ. თბილისში მცხოვრები.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ცინცაძე.**

რეგისტრაციაში გატარებულია ამხ. ხ. მ. ღუმბაძის კანდიდატურა

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქედის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. **ხუსია მელქუდის-ძე ღუმბაძე**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, კოლმეურნეთა ა „წითელი მეურნის“ თავმჯდომარე, ქედის რაიონის სოფ. სახალიდების მცხოვრები.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ხელაძე.**

რეგისტრაციაში გატარებულია ამხ. ნ. ა. ჯინჯარაძის კანდიდატურა.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ხულოს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. **ვაგან გრიგოლის-ძე გრიგორიანი**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, „ზარია ვოსტოკას“ პასუხისმგებელი რედაქტორი, ქალ. თბილისში მცხოვრები.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **სალაძე.**

რეგისტრაციაში გატარებულია ამხ. ა. ს. მაისურაძის კანდიდატურა.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შუახევის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭის საყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. **არჩილ ვაინონის-ძე მაისურაძე**, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, № სანაპირო რაზმის პოლიტმეული.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ჯინჯოლიანი.**

ს. საბაროვი

საკ. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები და ანტირელიგიური პროპაგანდის ამოცანები

ახლოვდება ისტორიული თარიღი —12 დეკემბერი. ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი ენერგიით ემზადებიან ამ დღისათვის.

მტრული ელემენტები ყოველნაირად შეეცდებიან გამოიყენონ მომავალი არჩევნები თავიანთი ბნელი მიზნებისათვის. ამიტომ ყოველი პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და საბჭოთა ორგანიზაცია სავსებით მზად უნდა იყოს კლასობრივი მტრის ყოველგვარ მანევრებთან და მტრულ აგიტაციასთან საბრძოლველად. საქართველოს ბოლშევიკების X ყრილობაზე ამხ. ლავრენტი ბერია გვაფრთხილებდა: „უნდა გვახსოვდეს და არ უნდა დავივიწყოთ, რომ მშრომელთა დიქტატურის საბჭოების მომავალ არჩევნებში კლასობრივი მტერი შეეცდება ხელი შეუშალოს მშრომელებს აირჩიონ საბჭოებში ჩვენი ქვეყნის ნამდვილად ღირსეული მოწინავე ადამიანები. ჩვენი კლასობრივი მტრები შეეცდებიან გამოიყენონ ჩვენ მიერ არჩევნების დროს დაშვებული სულ მცირე შეცდომებიც კი“.

ყველა ჩვენი რაიონული პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული, საბჭოთა ორგანიზაცია როდია მზად შებრძოლებისა და საბრძოლველად. საბრძოლველად ამ მეთხუთმეტე მხედველობაში გვაქვს რელიგიური კულტის მსახურთა ანტისაბჭოთა აგიტაციასა და პროპაგანდის მთელი რიგი ფაქტები, რაც საჭიროებელს ბევრ რაიონში სათანადო ორგანიზაციების ყურადღებას გარეშეა დარჩენილი (მაგ. ახალციხე, ახალქალაქი, სიღნაღი, ტყიბული, ვანი, გორი, ქუთაისი და სხვ.). ამ რაიონებში ადგილი აქვს ანტირელიგიური პროპაგანდის შეუფასებლობას.

სააქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ბიურო თავის მიმდინარე წლის 7 აპრილის დადგენილებაში მოითხოვდა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან ანტირელიგიური პროპაგანდის გადაჭრით გაძლიერებას და საქმეში განსახკომისა და საქ. პროფკავშირული ორგანიზაციების სრულ უმოქმედობას. ეს უმოქმედობა დღემდე ლიმიტირული არ არის. ამის შედეგად მთელ რიგ ადგილებში საქმე გვაქვს რელიგიური კულტის მსახურთა ანტისაბჭოთა საქმიანობის გაძლიერებასთან. მოვიყვანთ ზოგიერთი ფაქტები:

ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებში ანტირელიგიური პროპაგანდა მავიწყებულია. ისარგებლეს რა ამით, რელიგიური კულტის მსახურებმა გააძლიერეს თავიანთი ორგანიზაციების მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებში.

გორის რაიონში, სადაც უკანასკნელ დღემდე ანტირელიგიური პროპაგანდა სრულებით მავიწყებულია ყოფილა, „ეკლესიის მამებმა“ ფართოდ გაშალეს მტრული აგიტაცია, „ეკლესიის მამებმა“ გოგოშვილმა, მღვდლების აგიტაციის შედეგად, მანდატი ჩააბარა კომკავშირის ორგანიზაციას. მღვდლებმა მას ასე მიმართეს: „შენ პატრონად ახალ გაზრდა ხარ, ჩვენი სალოცავი ღმერთი შენ კარგის თვალით გიყურებს, მაგრამ კომკავშირის წევრობა ცოტა ხელს გიშლისო“.

სოფ. შინდისში მღვდელი ჩრიდილოეთ დღის ხალხში და შემდეგნაირად შიმართავს მათ: „არჩევნების დროს თქვენ ყველამ ჩვენ უნდა მოგვკეთ ხმა. ხომ იცით, რომ არჩევნები ფარული კენჭისყრით მოხდება. ამიტომ რასა გუშინათ, ხალხს ვერ გაიგებს ვის მისცემთ თქვენ ხმას, ხოლო ღმერთი ყოველთვის დაინახავს და თქვენ დიდი განსაცდელი მოგელით იმ ქვეყნადაო“.

ამავე რაიონიდან ძმები ფართოშვილები, რომელთა მამა დეკანოზი იყო, დადიან ხალხში და სათანადო განსამრავლოთ მიეების შემდეგ „წინასწარმეტყველობენ“ იმის შესახებ, თუ „ღვთის“ ნებით ვის რა ბედი მოელის. გორის რაიონს ამ მხრივ არც კასპის რაიონი ჩამორჩება, სადაც ანტირელიგიურ პროპაგანდას რაიონული პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ თანმიმდევარი ყურადღება არ ექცევა. ამის გამო ამ რაიონში როგორც დაგლობრივმა, ისე თბილისიდან ჩამოსულმა მღვდლებმა დიდი ცრურწმონით ჩაატარეს „ავთვობის“ დღესასწაული.

ქუთაისის რაიონში, სადაც უკანასკნელი დროიდე ანტირელიგიური მუშაობა სრულიად მავიწყებული იყო (ამჟამად კი იქ ამ მხრივ ერთგვარი გარდატეხა მოხდა), ადგილ ჰქონდა მღვდლების აშკარა ანტისაბჭოთა მოქმედების ფაქტებს.

ანტირელიგიური მუშაობის მავიწყებამ ამ რაიონში გამოიწვია ის, რომ ადგილობრივი მღვდლების და აგიტატიების და მოღვაწეობით ქუთაისში კვლავ აღდგენილ იქნა სამოძღვრო სემინარია.

რელიგიური კულტის მსახურთა ასეთი გააქტივება ხდება განსაკუთრებით ამჟამად, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში. უნდა ვიცოდეთ, რომ რელიგიური ორგანიზაციები და მათზე დაყრდნობით შენიღბული კლასობრივი მტრის ნაშთები შემდეგშიაც შეეცდებიან გააძლიერონ მტრული აგიტაცია მოსახლეობის ჩამორჩენილ, მორწმუნე ფენებში.

ამიტომ საჭიროა ახლავე, სანამ გვიან არ არის, გადაჭრით მოვახდინოთ გარდატეხა ანტირელიგიურ პროპაგანდაში.

ჩვენ უნდა ვებრძოლოთ რელიგიურ ცრურწმენების პროპაგანდისა და აგიტაციის გზით; უნდა ვებრძოლოთ მორწმუნეთა დაჯგუფებისა და დარწმუნებისათვის იმაში, რომ რელიგია მავნე და რეაქციულია, რომ ის სოციალიზმის დაძინებულია მტერია. საჭიროა მორწუნე მშრომელებს კარგად განვუმარტოთ, რომ რელიგია და მისი გამტარებელი—სამღვდელოება ყოველთვის იყო და არის ბატონურების, ექსპლოატატორული კლასების ინტერესების დამცველი, კარიდან კარამდე სისხლიანი ფაშიზმის უერთგულესი მოკავშირენი არიან.

მიმდინარე წელს ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, აღმორჩენილ იქმნა რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც ფაშისტური კონტრრევოლუციური - ტროცკისტული ოხრანკის უშუალო დაკვეთებს ასრულებდა.

სიონელის რაიონში რელიგიური „ეკლესიის მსახურებმა გამოკულტივება დაიტყოთ, აგრეთვე ქუთაისის სოფ. ფალტახანაულეში მღვდელმა ჰპოვეს თავისი ჭეშმარიტი მოკავშირეები სოფ. საბჭოს ყოფილი თავმჯდომარეების — სუსანაშვილის (სულხანში) და ლოლობერიძის საბით (ქუთაისში), რომლებმაც ეკლესიები თავისი ხელით გახსნეს და საქირო რემონტიც კი გაუკეთეს მათ.

ანტირელიგიური პროპაგანდის მთელი სიმძიმე ამჟამად გადატანილ უნდა იქნას საარჩევნო უბნებში. ამ მიზნისათვის უნდა გამოვიყენოთ ყველა ჩვენი კულტურული და მეცნიერული ძალები — მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, თეატრალური ხელოვნების მუშაკები და სხვა, რომელთა საშუალებით სისტემატურად უნდა ვეწარმოთ ანტირელიგიური ხასიათის საუბრები, ლექციები, მოხსენებები, უნდა ვეუწყებინოთ ანტირელიგიური კინოსურათები და სხვა.

ამისთანავე აუცილებელია მოვაწყოთ და ფართოდ გავშალოთ ანტირელიგიური აგიტაცია საერთო საცხოვრებლებსა და სადგურებში, მუშათა და კოლმეურნეთა ოჯახებში.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩაღიღლოთ ჩინეთში

ლონდონი, 14 ნოემბერი (საგანგებო). ახლა იაპონელებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ ისინი სრულიადაც ვერ ახერხებენ დაეუფლონ დაპყრობილ რაიონებს. იაპონიის ჯარები გამაგრებული არიან მხოლოდ ვიწრო ხაზში რკინიგზების გასწვრივ. ჩრდილოეთის პროვინციების ყველა დანარჩენ ნაწილში მოქმედებენ ჩინეთის ჯარების, მარაუღარული ნაწილები და შიგადაშიგ დიდი რაზმები, რომელნიც ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობით ანგრევენ იაპონელთა კომუნიკაციებს და იკავებენ ქალაქებს ჭალებს. ასე. მაგალითად, რეიტერის სააგენტოს ბეიპინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინეთის ჯარები თავს დაესხნენ რამდენიმე ქალაქს. იაპონელები აღიარებენ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ჩინეთის ჯარებს დიდ დახმარებას უწევს.

ბრიტ'ის იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტს მოჰყავს იაპონელთა განცხადება ჩინეთის მე-29 არმიის ნაწილთა ბრძოლებზე გაოჩენთან (32 კილომეტრის მანძილზე შიძიაჯუანის აღმოსავლეთით). ჩინელთა ამ ნაწილების მოქმედებამ, — სწერს კორესპონდენტი, — უშუალო მუქარა შეუქმნა მნიშვნელოვან საკვანძო სადგურს—შიძიაჯუანს.

შანხაი, 15 ნოემბერი (საკადილი). უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში განხადდა ბრძოლები ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის ფრონტზე. შანდუნის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, სენტრალ ნიუსის საagენტოს მოჰყავს შემდეგი დაწვრილებითი ცნობები: ჩინეთის ჯარები მედგრად იცავენ ქალაქებს ლინ-ის და შანხუს (100 კილომეტრის მანძილზე ძინანის ჩრდილოეთით). 12 ნოემბრის 6 საათსა იაპონელმა ჯარის-კაცმა, რომელთაც ჭერხდათ 20 ტანკი და 30 სავედრე ზარბაზანი, სამი მხრიდან დაიწყო შეტევა ლინ-იზე. დღის განმავლობაში. სულ ცოტა ათჯერ მოხდა ხელჩართული ბრძოლა. ამასთან იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ხეების პროვინციაში 10 ნოემბერს ჩინეთის ჯარებმა ბრძოლით უკან დაიბრუნეს დუძინენი, რომელიც მდებარეობს ქალაქ დამინის მახლობლად.

შანხაის ფრონტზე

შანხაი, 14 ნოემბერი (საკადილი). საღამოს გაზეთები იუწყებიან, რომ ჩინეთის ჯარებმა წინააღმდეგობა გაუწიეს იაპონელთა ნაწილების გადასვლას ფუშანის რაიონში (მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იანძის სამხრეთ ნაპირას) და ნანტაოს რაიონში (იანძის ჩრდილო ნაპირას). ქალაქ ფუშანს იაპონელთა სამხედრო გემები გაადთრებით უშენდნენ ყუმბარებს. იაპონელთა 7 თვითმფრინავმა და რამდენიმე სამხედრო გემმა ყუმბარები დაუშინეს ნანტონს.

ბრიუსელის კონფერენციის დეკლარაციის პროექტი

ბრიუსელი, 15 ნოემბერი (საკადილი). ბრიუსელის კონფერენციის განსახილველად, რომლის სხდომაც დღეს საღამოს შეიდგება შეადგინა დეკლარაციის საბოლოო პროექტი.

წინაადგილ იაპონიის მთავრობის მტკიცებისა, რომ რამდენადაც კონფლიქტი ხდება იაპონიასა და ჩინეთს შორის, იგი მხოლოდ ამ ქვეყნებს ინტერესებსო, სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომელნიც შეეკრიბნენ ბრიუსელში, — ითთქვამს პროექტში,—ჩფეკრობენ რომ ეს კონფლიქტი ინტერესებს ყველა ქვეყანასა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ვაშინგტონის 1922 წლის ხასეელმწიფოს ხელშეკრულებას თერეთვე, რომლებმაც ხელი მოაწერეს პარიზის 1925 წლის ბრიანკელოგის პაქტს, და, დასასრულ, საერთოდ ყველა ქვეყანას. შემდეგ პროექტში ხაზგასმულია, რომ იაპონიის მოქმედება ჩინეთში ეწინააღმდეგება ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულებასა და ბრიან-კელოგის პაქტს. „იაპონიასა და ჩინეთს შორის წარმოებულმა საომარმა მოქმედებებმა, — ნათქვამია პროექტში, — ხელი შეუწყო ამ ორ ქვეყანაში ანტიუცხოური მტაცებლობის ზრდას, რომელმაც